

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
აი-ბი-ჯი ჰოლდინგის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
რისკის მართვა	21
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
სასამართლო დავები.....	24
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	24
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აი-ბი-ჯი ჰოლდინგის“ დამფუძნებლებს

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აი-ბი-ჯი ჰოლდინგის“ („კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოგება-ზარალის, საბალანსო, ფულადი მოძრაობის ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილებების უწყისებს, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით „უარყოფითი დასკვნის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობა ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგის მიერ 2017 წლის 13 თებერვალს შესყიდულ იქნა შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის 100% წილი. შესყიდვისას მყიდველმა უნდა შეაფასოს შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მათი შეძენის თარიღისთვის. მაგრამ ჯგუფმა ვერ შეძლო შვილობილი კომპანიის მატერიალური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების დადგენა შეძენის თარიღისათვის, ამიტომ შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მოხდა შეძენის თარიღისათვის მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით, რაც ძირითადად დაფუძნებულია თვითღირებულების მოდელზე შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამავე თარიღში მათი სამართლიანი ღირებულებისაგან. ამრიგად, გუდვილის განსაზღვრა მოხდა შვილობილი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე.

ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე აგრეთვე მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისაგან. ხელშეკრულების პირობების მიხედვით ყველა ასეთი სესხი გაცემულია ან მიღებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისი საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით გაუფასურებულია თუ არა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ან დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების შესაბამისად აღიარებული საპროცენტო შემოსავალი არის თუ არა რეალურად მისაღები და რეალიზებადი ან ასეთ სესხზე დარიცხული პროცენტი რეალურად იქნება თუ არა გადახდილი.

გემოლნიშნული უარყოფითი მოსაზრების საფუძველი არ არის აღმოფხვრილი წინამდებარე დასკვნის მომზადების მომენტისთვის, რაც გვაძლევს მიმდინარე პერიოდში უარყოფითი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებელი ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ექსპერტ ჯგუფი

ბესიკ თავაძე

24 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო



საბალანსო უწყისი

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ძირითადი საშუალებები	4	1 300 333	5 450 518
არამატერიალური აქტივები		34 800	28 377
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
სხვა ინვესტიციები		163 350	163 350
საინვესტიციო ქონება			3 834 183
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 498 483	9 476 428
მარაგები		12 075 414	10 841 597
კაპიტალის შევსებზე პარტნიორთა დავალიანება მიმდინარე ნაწილი		5 139 879	5 142 695
გადავადებული საგადასახადო აქტივი		118 071	214 346
სხვა საგადასახადო აქტივები		678 406	1 011 158
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3 787 197	5 088 519
გაცემული სესხები	5	11 200 428	21 997 624
გადახდილი ავანსები		6 948 250	6 270 975
ფული და ფულის ექვივალენტები	10	360 321	4 541 170
სულ მიმდინარე აქტივები		40 307 966	55 108 084
სულ აქტივები		41 806 448	64 584 512
საწესდებო კაპიტალი		19 113 600	19 113 600
გადაფასების რეზერვი		85 911	-
დაგროვილი მოგება/ზარალი		(40 464 942)	(28 167 649)
სულ კაპიტალი		(21 265 431)	(9 054 049)
არამაკონტროლებლის ინტერესი		(63 051)	(226 214)
სულ მესაკუთრის კაპიტალი		(21 328 483)	(9 280 262)
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		339 810	605 016
მიმდინარე სასესხო ფონდები	11	31 848 125	34 240 557
სავაჭრო ვალდებულებები		14 217 538	10 959 614
მიღებული ავანსები		16 693 717	27 994 848
სახელფასო ვალდებულებები		35 740	64 740
სულ მიმდინარე ვალდებულებები		63 134 930	73 864 774
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		41 806 448	64 584 512

დირექტორი

24 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების უწყისი

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
შემოსავალი	13	66 952 450	71 212 408
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14	(55 690 253)	(57 933 008)
საერთო მოგება		11 262 197	13 279 400
სხვა შემოსავალი		6 253 631	3 397 591
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	15	(17 071 637)	(10 837 356)
მინოდების ხარჯები	16	(248 253)	(948 189)
სხვა ხარჯები	17	(4 445 225)	(2 349 694)
საოპერაციო მოგება		(4 249 286)	2 541 753
ფინანსური შემოსავლები			7 154 347
ფინანსური ხარჯები	18	(6 106 093)	(2 010 398)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(1 778 752)	(1 267 446)
მეკავშირე საწარმოდან მოგების წილი			(87 466 174)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(12 134 131)	(81 047 918)
მოგების გადასახადი		-	(17 667)
წმინდა მოგება დაბეგვრის შემდგომ		(12 134 131)	(81 065 585)
<i>სხვა სრული შემოსავალი</i>			
სულ სრული მოგება/ზარალი		(12 134 131)	(81 065 585)
ზარალი მიკუთვნებული			
მშობელი კომპანიის მფლობელებზე		(12 297 294)	(80 839 372)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		163 162	(226 214)

დირექტორი

24 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო



შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი

კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის ცვლილებების უწყისი

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ	არამაკონტრ. წილი	სულ ჯამი
31.Dec.17	13 750 000	-	52 671 723	66 421 723		66 421 723
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	5 363 600			5 363 600		5 363 600
საწესდებო კაპიტალის შემცირება				-		-
წილების გასხვისება მეკავშირე საწარმოებში				-		-
შვილობილი კომპანიების წილის შესყიდვა						
დივიდენდის გატანა				-		-
სულ მესაკუთრის ტრანზაქციები	5 363 600	-		5 363 600		5 363 600
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი IFRS 9-ით გამონწვეული ეფექტი			- 80 839 372	-80 839 372	- 226 214	- 81 065 585
სულ საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი	-	-	- 80 839 372	-80 839 372	- 226 214	- 81 065 585
31.Dec.18	19 113 600	-	- 28 167 649	- 9 054 049	- 226 214	- 9 280 262
საწესდებო კაპიტალის გაზრდა						
საწესდებო კაპიტალის შემცირება						
წილების გასხვისება მეკავშირე საწარმოებში						
შვილობილი კომპანიების წილის შესყიდვა						
დივიდენდის გატანა				-		-

სულ მესაკუთრის ტრანზაქციები						
ძირითადი საშუალებების გადაფასება		85 911		85 911		85 911
სხვა სრული შემოსავალი	-	85 911	-	85 911	-	85 911
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი			- 12 297 294	-12 297 294	163 162	- 12 134 131
სულ საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი	-	-	- 12 297 294	-12 297 294	163 162	- 12 134 131
31.Dec.19	19 113 600	85 911	- 40 464 942	-21 265 431	- 63 051	- 21 328 483

ს. კუჭი

დირექტორი

24 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგების უწყისი

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ავტომატიზაციის გაყიდვიდან მიღებული ფული	34 789 582	58 610 199
ავტონაწილების გაყიდვიდან მიღებული ფული	12 471 957	12 258 804
ავტომატიზაციის სერვისიდან მიღებული ფული	2 996 507	7 573 527
ავტომატიზაციის მწარმოებლების მიერ გაწეული საგარანტიო ანაზღაურება	615 844	443 527
საკონსულტაციო სერვისების გაწევიდან მიღებული ფული	176 192	-
გაქირავებიდან მიღებული ფული	1 334 529	903 830
სადაზღვევო ანაზღაურება	1 727 002	161 270
ავტომატიზაციის მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(24 257 933)	(27 403 812)
ავტონაწილების მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(12 820 159)	(19 213 658)
ტრანსპორტირებაზე გადახდილი ფული	(950 805)	(1 781 105)
სახელფასო ანაზღაურება	(3 261 016)	(3 490 885)
მენეჯმენტისათვის გადახდილი ბონუსები	(2 540 363)	(3 686 399)
გარე კონტრაქტორებზე გაწეული გადახდები ავტომატიზაციის შეკეთებისათვის	(91 915)	(188 880)
გადახდილი საიჯარო ქირა	(987 363)	(528 197)
სანავის შეძენაზე გადახდილი თანხები	(244 111)	(213 650)
კომუნალური ხარჯი	(204 613)	(239 658)
საკომუნიკაციო ხარჯი	(65 977)	(73 013)
სადაზღვევო ხარჯი	(273 442)	(200 671)
გადახდილი გადასახადები	(5 331 909)	(7 108 263)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(214 168)	(354 526)
საკონსულტაციო სერვისზე გაწეული გადახდები	(170 119)	(177 506)
სხვა გასაღებები	(13 618 307)	(12 223 834)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(10 920 589)	3 067 099
თანხის გაცემა სესხად	(1 229 485)	(3 233 907)
გაცემული სესხების ამოღება	439 511	4 385 857
ძირითადი საშუალებების შეძენა	(36 972)	(54 054)
წილების შეძენა მეკავშირე საწარმოებში	(180 000)	(185 049)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები	(1 006 946)	912 846
სესხად მიღებული თანხები	26 008 921	33 679 666
აღებული სესხების დაფარვა	(24 327 894)	(50 155 887)
გადახდილი საპროცენტო სარგებელი	(2 778 320)	(1 996 535)
ახალი შვილობილი კომპანიის ფული შესყიდვის თარიღისთვის	1 437 300	188 728
ფული სანესღებო კაპიტალში	21 811	10 445 869
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადები	361 818	(7 838 160)
სულ ფულადი ნაკადები	(11 565 718)	(3 858 214)
ფულის და ფულადი ექვივალენტების საწყისი ნაშთი	4 541 162	20
უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ცვლილებები	7 384 876	8 399 356
ფულისა და ფულადი ექვივალენტების საბოლოო ნაშთი	360 321	4 541 162

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგი” (ან კომპანია) დაარსდა 2017 წლის აგვისტოში. კომპანიას ჰყავს 1 შვილობილი კომპანია, 15 არაპირდაპირი შვილობილი კომპანია და აგრეთვე აქვს ინვესტიციები ორ სხვა საწარმოში.

შპს “აი-ბი-ჯი ჰოლდინგი”-ის მთავარ საქმიანობა არის საინვესტიციო რესურსების მოზიდვა და ამ ინვესტიციების მართვა. ამავდროულად ის არ განიხილება საინვესტიციო საწარმოდ, რადგან განთავსებული ინვესტიციების შედეგებს არ ზომავენ და აფასებს რეალური ღირებულების საფუძველზე. ამავდროულად, კომპანიის მფლობელები არიან ამავე კომპანიის დაკავშირებული მხარეები ისე, როგორც განსაზღვრულია ბასს 24-ში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: დიდუბის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფში შემავალი კომპანიების თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 205 (2018: 203 თანამშრომელი). კომპანიის იურიდიული მისამართია დიდუბის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგის მფლობელები არიან:

მფლობელი		2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ტარიელ ხეჩიკაშვილი	საქართველოს მოქალაქე	24,00%	24,00%
ეკატერინე ინასარიძე	საქართველოს მოქალაქე	29,22%	29,22%
თამარ გვაზავა	საქართველოს მოქალაქე	10,89%	10,89%
მადონა თამაზაშვილი	საქართველოს მოქალაქე	10,89%	10,89%
სს რედი კაპიტალი	რუსეთის ფედერაცია	20,00%	20,00%
სნეჟანა კოტოვა	რუსეთის ფედერაციის მოქალაქე	5,00%	5,00%

კომპანია ფლობს წილს შვილობილ კომპანიაში:

მონაწილეობა სხვა საწარმოებში	საიდენტიფიკაციო კოდი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	204975376	100,00%	100,00%

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კომპანია ირიბად ფლობს წილებს შემდეგ საწარმოებში:

მონაწილეობა სხვა საწარმოებში	საიდენტიფიკაციო კოდი	შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის წილი	
		2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შპს ქეი ენდ ვი	401992616	99,00%	99,00%
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	426517254	100,00%	100,00%
შპს ვი ენდ ქეი	402040821	99,00%	99,00%
შპს იბერია ავტო ლენდი	236095177	-	100,00%
შპს იბერია ავტოჰაუსი	236081832	-	100,00%
შპს იბერია ავტო	236098129	90,00%	90,00%
შპს ავტო სერვის კავკასია	205261811	68,00%	68,00%
შპს იბერია ავტო ცენტრი	436031116	100,00%	100,00%
შპს იბერია სერვისი	204982359	-	100,00%
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	236093473	75,00%	75,00%
შპს ქარ რენტ ლიზინგ კომპანი	404934871	-	100,00%
შპს იბერმობილი	209482736	100,00%	100,00%
შპს სენა ავტო	205175941	-	100,00%
შპს იტა სერვისი	436033579	75,00%	75,00%
შპს კავკასუს მორტორსი	436031768	100,00%	100,00%
შპს კია მორტორს ჯორჯია	236096675	50,00%	100,00%

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს ჯგუფის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა ჯგუფის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველოთ გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.8677
ლარი/1 ევრო	3.0701	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელმაც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღრიცხება, როდესაც დივიდენდის მირების უფლება დადგენილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღებ ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი –სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწერა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დანესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც ჯგუფმა გაუნია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, მაგრამ ასევე იდენტიფიცირებულია არა ბრუნვადი სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებზეც არ ხორციელდება გაუფასურების ტესტირებას და შესაძლოა შეიცავდეს არსებით უზუსტობებს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქვრის მიღებისთანავე. საანგარიშგო პერიოდში კომპანიის მიერ გაყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილი განთავსებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდისგან და მენეჯმენტი იყენებს ჩასათვლელი დღგ-ს გაანგარიშების პროპორციას საანგარიშგო თვის შემოსავლების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშგო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ათვისებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, საანგარიშგო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებებზე მათი ღირებულების განაწილებით:

- შენობა-ნაგებობები - 20 წელი
- მანქანა დანადგარები - 5-20 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- ინსტრუმენტები და ხელსაწყოები - 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დავროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოინერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოინერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხები მოიცავს ჯგუფის დაკავშირებულ მხარეზე, დამფუძნებელზე გაცემულ სესხებს და შესაბამის დარიცხულ პროცენტებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადანაცვლებზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი წარმოადგენს კომპანიის მიერ შეძენილი აქტივებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებისათვის შესრულებულ გადახდას, რომელთა ცალ-ცალკე განსაზღვრა და აღიარება შეუძლებელია. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსზე აღრიცხული გუდვილი არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით და მოიცავს ისტორიულ ღირებულებას და აკუმულირებულ ცვეთას.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალეების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამონერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალეების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:
ახალი სტანდარტები, რომლებიც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენას არ ახდენს არის

- ფასს 16 - იჯარა;
 - ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები ;
 - შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით ;
 - შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი .
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება;
 - ფასს 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვეველობა ;
 - ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)

საანგარიშო პერიოდში ძალაში შესული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - სანარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს აი-ბი-ჯი პოლდინგი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	მიწა დანაგებობები	მანქანა დანადგარები	ავტო და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება 31/12/2017	5 341 976	1 699 209	1 862 621	789 097	261 156	87 396	10 041 454
დამატებები	-	63 179	39 534	58 017	8 843	-	169 573
გაყიდვა	-	(1 000)	(26 329)	(23 308)	(1 700)	-	(52 337)
ისტორიული ღირებულება 31/12/2018	5 341 976	1 761 388	1 875 825	823 806	268 299	87 396	10 158 690
დამატებები	6 471 398	133 064	142 695	(48 922)	93 524	70 636	6 862 395
გაყიდვა	(11 361 086)	(1 191 170)	(732 212)	(179 827)	(67 729)	(70 635)	(13 602 660)
ისტორიული ღირებულება 31/12/2019	452 287	703 282	1 286 308	595 057	294 094	87 397	3 418 425
დაგროვილი ცვეთა 31/12/2017	751 601	1 460 286	1 439 666	447 361	102 829	-	4 201 742
მიმდინარე პერიოდის ამორტიზაცია	121 952	75 379	157 453	93 616	18 968	-	467 369
გაყიდვლის დაგროვილი ცვეთა	-	(1 000)	(397)	(28 369)	-	-	(29 766)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018	873 553	1 534 665	1 596 723	512 608	121 797	-	4 639 345
მიმდინარე პერიოდის ამორტიზაცია	84 477	48 656	111 281	47 668	37 398	-	329 479
გაყიდვლის დაგროვილი ცვეთა	(940 741)	(1 109 245)	(693 844)	(81 889)	(25 004)	-	(2 850 723)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2019	17 288	474 076	1 014 159	478 386	134 191	-	2 118 101
წმინდა საბალანსო ღირებულება							
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2017	4 590 375	238 923	422 955	341 736	158 327	87 396	5 839 712
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2018	4 468 423	226 723	279 103	311 198	146 502	87 396	5 519 345
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/2019	434 999	229 205	272 149	116 671	159 903	87 397	1 300 324

- კვეთის ბალანსზე რიცხვული შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითადი საშუალებები დატვირთულია იპოთეკით კომპანიის სასესხო ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა 5 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

პერიოდის ბოლოს ჯგუფის მიერ გაცემული გრძელვადიანი სესხები მოიცავს დამფუძნებლებზე და დაკავშირებულ მხარეებზე სესხად გაცემულ ფულად ნაკადებს და მათზე დარიცხულ მისაღებ პროცენტებს. ბალანსის შემდგომ პერიოდში, მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში პანდემიის გავრცელების გამოწვევებმა რისკებმა და შეზღუდვებმა გავლენა იქონია მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე. აღნიშნული რისკებს გათვალისწინებით მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაზრდილია გაცემულ სესხებზე და მისაღებ პროცენტებზე რეზერვის მოცულობა.

ქართული ლარი

	მიმდინარე	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული არაუზრუნველყოფილი სესხები დენომინირებული ლარში	8 771 359	21 997 624

ყველა სესხი გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე და არის არაუზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები დენომინირებულია ქართულ ლარში 19,01% წლიური საპროცენტო განაკვეთით.

შენიშვნა 6 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს ავტომობილებს, საბურავებს, სათადარიგო ნაწილებს და აქსესუარებს:

	31.12.2019	31.12.2018
ავტომობილები	8 356 798	3 181 189
სათადარიგო ნაწილები	3 680 049	8 043 039
სხვა მარაგები	38 568	30 506
სულ	12 075 415	11 254 734
ავტომომანქანების გაუფასურების რეზერვი		(413 137)
სულ რეზერვი		-
სულ მარაგები	12 075 415	10 841 597

-

შენიშვნა 7 - საეჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საეჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები მოიცავს საბალანსო ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ ანარიცხებს:

	31.12.2019	31.12.2018
ავტომატური მინოდეიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	1 627 834	3 164 868
სათადარიგო ნაწილების მინოდეიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	1 189 341	-
სარემონტო მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	963 237	2 503 967
ავტომწარმოებლების საგარანტიო სერვისიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	-	-
მენეჯმენტ სერვისიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	111 625	-
სხვა მოთხოვნები	73 727	277 146
სულ	3 965 765	5 945 981
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(178 567)	(857 462)
სულ რეზერვი	(178 567)	(857 462)
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	3 787 197	5 088 519

შენიშვნა 8 - გადახდილი ავანსები

პერიოდის ბოლოს არსებული გადახდილი ავანსები მოიცავს უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში აღრიცხულ შემდეგ თანხებს:

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გაცემული ხელფასები	9 105	10 342
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული ავანსები	1 646	7 439
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6 501 208	5 913 911
სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	436 289	339 283
სულ	6 948 249	6 270 975
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	6 948 249	6 270 975

შენიშვნა 9 - მიმდინარე სესხები

სესხები დენომინირებულია როგორც ლარში ისე დოლარში. ქართულ ლარში დენომინირებული საბანკო სესხების ვადაა 1 წელი და წლიური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთია 10%.

ქართული ლარი

	მიმდინარე	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	16 908 591	25 487 703
არაუზრუნველყოფილი არასაბანკო სესხები	14 939 529	8 752 354
სულ	31 848 120	34 240 557

შენიშვნა 10 - მიღებული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
ავანსები ავტომანქანებზე	15 859 316	24 663 370
ავანსები სათადარიგო ნაწილებზე	359 055	365 940
ავანსები მიღებულ მომსახურებაზე	101 416	295 836
სხვა მიღებული ავანსები	373 930	2 669 702
სულ მიღებული ავანსები	16 693 717	27 994 848

შენიშვნა 11 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული	84 665	33 861
თანხა საბანკო ანგარიშზე	275 656	4 507 309
სულ ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტი	360 321	4 541 170

შენიშვნა 12 - სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულება სხვა ინვენტარზე	1 095 278	1 361 591
საიჯარო ვალდებულება (იჯარის ქირა)	2 498 223	4 560 090
სხვა ვალდებულებები	10 624 037	5 037 832
სულ	14 217 538	10 959 513

შენიშვნა 13 - შემოსავალი

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი ავტომობილის გაყიდვიდან	38 589 208	50 179 754
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან	24 934 113	18 384 079
შემოსავალი მომსახურებიდან	2 120 218	1 960 388
უკან დაბრუნება (სათადარიგო ნაწილები)	-	-
უკან დაბრუნება (ავტომობილები)	(43 451)	
შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან	342 644	633 733
საიჯარო შემოსავალი	998 084	
სხვა შემოსავალი	11 635	54 454
სულ მიღებული აგანსები	66 952 451	71 212 408

შენიშვნა 14 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019 წელი	2018 წელი
გაყიდული ავტომობილის ღირებულება	33 177 007	36 520 676
გაყიდური სათადარიგო ნაწილების ღირებულება	21 550 652	19 287 305
განყიდი მომსახურების ღირებულება	2 125 028	2 125 028
უკან დაბრუნებული ავტომობილების ღირებულება	70 519	-
უკან დაბრუნებული სათ. ნაწილების ღირებულება	(37)	-
სულ გაყიდვების ღირებულება	55 690 253	57 933 008

შენიშვნა 15 - საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
იჯარის ხარჯი	2 263 411	1 952 761
დაქირავებულთა სარგებელი	7 809 311	7 084 828
საკონსულტაციო მომსახურება	345 741	265 953
საბანკო მომსახურების ხარჯი	304 540	351 507
დაზღვევის ხარჯი (გარდა დაქირავებულთა დაზღვევისა)	148 304	148 304
ცვეთა და ამორტიზაცია	330 227	541 260
კომუნალური ხარჯები	286 055	357 513
დაცვის მომსახურება	197 140	202 009
საწვავი	220 110	219 331
შეკეთება/აღდგენა/დასუფთავება	30 071	51 277
მივლინება	143 495	132 687
საკომუნიკაციო ხარჯი	89 799	93 146
საკანცელარიო ხარჯი	16 016	59 808
სხვა	4 887 418	392 650
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	17 071 637	11 820 397

შენიშვნა 16 - მიწოდების ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	5 429	688 730
გაყიდული ავტომანქანის დასუფთავების ხარჯი	108 591	93 113
სატრანსპორტო მომს. ხარჯი	77 489	18 831
წარმომადგენლობითი ხარჯი	21 037	23 777
შოურუმის კეთილმოწყობა (გამართვა)	17 020	15 619
დაზღვევა	4 420	2 452
სხვა	14 235	105 668
სულ მიწოდების ხარჯი	248 253	948 188

შენიშვნა 17 - წმინდა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო შემოსავალი სესხზე	6 985 385	7 154 347
სულ საპროცენტო შემოსავალი	6 985 385	7 154 347
ფინანსური ხარჯი		
პროცენტის ხარჯი საბანკო სესხზე	(627 043)	(1 208 019)
პროცენტის ხარჯი არასაბანკო სესხზე	(12 464 434)	(802 379)
ფინანსური ლიზინგის საპროცენტო ხარჯი		
სულ საპროცენტო ხარჯი	(13 091 478)	(2 010 398)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(6 106 093)	(5 143 949)

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს წმინდა სესხების ფარდობა კაპიტალთან მოცემულია უარყოფითი ნიშნულით, ვინაიდან გამოქვეყნებული მოგება ვერ უზრუნველყოფს სასესხო ვალდებულებების სრულად დაფარვას.

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი; (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის ან მისი შემადგენელი რომელიმე კომპანიის მიმართ სასამართლო დავა არ ყოფილა დაფიქსირებული.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს ჯგუფის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. ჩვენ განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, ჩვენ მიიჩნევთ და დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც ჩვენ გვაქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ამავდროულად ჯგუფის საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს დაუფარავი ზარალი, ასევე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მოცემულია პერიოდების აკუმულირებული ზარალები, რის გამოც ჯგუფის კაპიტალი მოცემულია უარყოფითი ნიშნით. ჯგუფის ოპერაციები იგეგმება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მან შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირება და არსებითი რისკები არ შეექმნას მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2019 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი Covid19, რომლის გამოც დაწესდა არა ერთი შეზღუდვა ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ და ეკონომიკურმა შეზღუდვებმა არსებითი გავლენა იქონია არა ერთ ბიზნეს სექტორზე. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში კომპანიაში შეჩერებული იყო ავტომობილების რეალიზაცია, რამაც არსებითად იმოქმედა ჯგუფის შემოსავლებზე. აღნიშნულმა შეზღუდვებმა უარყოფითად იმოქმედა ბალანსის შემდგომი პერიოდის ანგარიშგებაზე, ვინაიდან საჭირო გახდა სესხების რესტრუქტურირაცია და სხვა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მენეჯმენტს შემდგომი ფუნქციონირების საშუალებას მოგვცემდა. შეზღუდვების ფონზე ჩვენ დავინყეთ ახალი შემოსავლის წყაროების იდენტიფიცირება, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობის მიღებას.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის (IBGH) მოკლე ისტორია

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის (IBGH) სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და არის საქართველოს საავტომობილო ბიზნესის ძირითადი მოთამაშე. ჯგუფის ოპერირების ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები.

IBGH ახორციელებს თავის ოპერაციებს შვილობილი კომპანიის შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის მეშვეობით.

აი-ბი-ჯი ჰოლდინგის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ყველა კომპანია, იურიდიულად დამოუკიდებელი, მუშაობს პასუხისმგებლობის მქონე, შვილობილი კომპანიებისა. ისინი ერთნაირი პრივილეგიებით და პასუხისმგებლობებით სარგებლობენ. თითოეულ კომპანიას აქვს საკუთარი მენეჯმენტი ოპერაციების დონეზე, ხოლო ბევრ ოფისის ფუნქციებს მთლიანად თავის თავზე იღებს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი. აი-ბი-ჯი ჰოლდინგში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს. როგორც წლების გამოცდილებამ აჩვენა, ეს სტრუქტურა არის ეფექტური და პრაქტიკული იმასთან შედარებით, რომ ინდივიდუალური კომპანია სრულად იყოს დაკომპლექტებული ფინანსური, მარკეტინგის, IT, სამართლებრივი, ლოჯისტიკისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტებით.

ჯგუფში შემაჯავლი კომპანიების და მათი საქმიანობის მიმოხილვა

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი

შპს “იბერია ბიზნეს ჯგუფი” (ან კომპანია) დაარსდა 2001 წლის დეკემბერში. კომპანიას ჰყავს 11 შვილობილი კომპანია და აქვს ინვესტიციები ორ სხვა საწარმოში. შპს “იბერია ბიზნეს ჯგუფის” მთავარ საქმიანობა არის შვილობილი საწარმოებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწერვა, მაგრამ იგი აგრეთვე შესაძლოა ჩართული იყოს ავტომობილებით ვაჭრობაში. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 38 თანამშრომელი (2018: 38 თანამშრომელი). კომპანიის იურიდიული მისამართია დიდუბის რაიონი, თბილისი, საქართველო.

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი ფლობს წილებს შემდეგ საწარმოებში:

მონაწილეობა სხვა საწარმოებში	საიდენტიფიკაციო კოდი	შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის წილი	
		2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შპს ქეი ენდ ვი	401992616	99,00%	99,00%
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	426517254	100,00%	100,00%
შპს ვი ენდ ქეი	402040821	99,00%	99,00%
შპს იბერია ავტო ლენდი	236095177	-	100,00%
შპს იბერია ავტოჰაუსი	236081832	-	100,00%
შპს იბერია ავტო	236098129	90,00%	90,00%
შპს ავტო სერვის კავკასია	205261811	68,00%	68,00%
შპს იბერია ავტო ცენტრი	436031116	100,00%	100,00%
შპს იბერია სერვისი	204982359	-	100,00%
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	236093473	75,00%	75,00%
შპს ქარ რენტ ლიზინგ კომპანი	404934871	-	100,00%
შპს იბერმობილი	209482736	100,00%	100,00%
შპს სენა ავტო	205175941	-	100,00%
შპს იტა სერვისი	436033579	75,00%	75,00%
შპს კავკასუს მტორსი	436031768	100,00%	100,00%
შპს კია მტორს ჯორჯია	236096675	50,00%	100,00%

რომლიდანაც პირველი, შპს იბერმობილი, დაარსდა 1999 წელს. კომპანიას გააჩნია მაღალი დონის ბრენდების მართვის შეუდარებელი გამოცდილება. დღეს, IBG-ის (<http://www.ibg.ge>) პორტფელი მოიცავს ისეთ ცნობილ ავტობრენდებს (სადისტრიბუციო და სადილერო), როგორიცაა: Volkswagen, Mitsubishi, Audi, Skoda, Peugeot და Renault. კომპანიას გააჩნია მაღალი ხარისხის ავტონაწილები და საპოხი საშუალებები, სადაც ნდობის და ხარისხის კუთხით ერთ-ერთი ლიდერია ბაზარზე. რაც შეეხება საავტომობილო ბრენდების მრავალფეროვნებას, ამ მხრივ უპირობო ლიდერი გახლავთ ბაზარზე.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი

შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იბერია ტექ ავტომოტივი (ITA) დაარსდა 2007 წელს და რეგისტრირებულია საქართველოში. ITA არის აი-ბი-ჯი ჰოლდინგის (IBG) ნაწილი. კომპანია მუშაობს რამოდენიმე მიმართულებით: სათადარიგო ნაწილები, სავაჭრო ობიექტები და ავტო მომსახურება. ფლობს იმპორტული პროდუქციის სადისტრიბუციო ქსელს, რომელიც მოიცავს როგორც თბილისის ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში სადაც აქვს ასევე საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.

ITA არის ცნობილი ევროპული და სხვა ბრენდების (Continental, General, Barum, BOSCH, FEBI, BILSTEIN, KAVO, JURID, TRUCKTEC, HANS PREIS, WAHLER, BANNER, MEGATEX, ROMBAT, ELF, Mobil, Lotos MAG-1) ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში.

კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც ახორციელებენ ავტოსათადარიგო ნაწილების, ავტოდიագნოსტიკური დანადგარების, საბურავების, აკუმლატორების, საცხებ-საპოხი მასალების, ავტოსერვისის დანადგარების და აღჭურვილობის, საავტომობილო აქსესუარების და ავტოქიმიური პროდუქციის იმპორტს. კომპანია ასევე ეწევა მანქანის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს. კომპანია სთავაზობს კლიენტებს ნაწილების მონტაჟს ხელსაყრელ ფასად რაც ზრდის კლიენტების კმაყოფილებას და ხელს უწყობს შემოსავლების დამატებით ზრდას. ჩვენ, ტრადიციულად ვყიდით, როგორც ორიგინალ ასევე მაღალი ხარისხის არაორიგინალ სათადარიგო ნაწილებს.

დღეის მდგომარეობით იტა კარვად არის წარმოდგენილი საბითუმო ბაზარზე და ბევრ მიმართულებაში ფლობს ერთ-ერთ ლიდერ პოზიციებს (მაგ.: ზეთები, აკუმლატორები, საბურავები). კომპანიის ამონაგებმა საოპერაციო საქმიანობიდან 2019 წელს 9,214,018 ლარი შეადგინა, შესაბამისად 2018 წელს 12,073,112 ლარი.

2019 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 33 (2018 წელს 46).

შპს იბერია ავტო ცენტრი და შპს იბერია სერვისი

შპს იბერია ავტო ცენტრი (IAC) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IAC არის ევროპული ბრენდების, Skoda-სა და AUDI-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი. შპს იბერია სერვისი უძრავი ქონების მფლობელი კომპანიაა, რომელშიც განთავსებულია შპს იბერია ავტო ცენტრის სერვის ცენტრი.

მაგალითად, შკოდა ოქტავიათი სარგებლობს საქართველოს საპატრულო პოლიცია. ასეთი სააგენტოების მიერ ტრანსპორტის გამოყენება გამოირჩევა მაღალი ცვეთით, რაც შესაბამისად დიდი რაოდენობით მომსახურებას მოითხოვს. ამ მიზეზით, ტექნიკური მომსახურებით მიღებული შემოსავლები, მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავლებს საცალო კლიენტების მომსახურებიდან.

2019 წლის დასაწყისში აი-ბი-ჯი ჰოლდინგში მიმდინარე რეორგანიზაციის ბოლო ეტაპის ფარგლებში, შპს იბერია ავტო ცენტრი და შპს იბერია სერვისი ერთმანეთს შეერწყა, შედეგად დარჩა შპს იბერია ავტო ცენტრი. მწარმოებლის მოთხოვნით შპს იბერია ავტო ცენტრს დარჩა AUDI-ის ბრენდის კონტრაქტი და სერვისი, როგორც AUDI-ის ასევე Skoda-ს წარმოების ავტომანქანებზე, ხოლო Skoda-ს კონტრაქტი გადაეცა ახალ იურიდიულ პირს შპს ავტო ცენტრი თბილისს, რომელიც 2018 წლის ბოლოს დაფუძნდა. შპს იბერია ავტო ცენტრის ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან 2019 წელს 18,154,657 ლარს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს 35,058,619 ლარს.

2019 წელს კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 43-ს, ხოლო 2018 წელს 54 დასაქმებულს.

შპს „კია მოტორს ჯორჯია“

შპს კია მოტორს ჯორჯია (KIA) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში.

KIA არის კორეული ბრენდის, KIA -ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი. ბრენდი ქართულ ბაზარზე 2008 წელს შემოვიდა და გახსნის დღიდან მომხმარებლებში პოპულარობით სარგებლობს.

2019 წლის 26 დეკემბერს აი-ბი-ჯი ჰოლდინგის მიერ განხორციელდა წილის 50% გაყიდვა შპს ბუტიკგრუპზე. აღნიშნულის შედეგად, კომპანიის მართვაში შევიდა შპს ბუტიკგრუპი

2019 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 24 თანამშრომელი (2018: 27 თანამშრომელი).

შპს კავკასუს მოტორსი

აი-ბი-ჯი ჰოლდინგი ამ კომპანიის მეშვეობით ფლობს მიცუბის ბრენდს. 2012 წლიდან შპს კავკასუს მოტორსმა მოიპოვა მიცუბიში კორპორაციიდან ბრენდის ოფიციალური იმპორტიორის და დილერის კონტრაქტი საქართველოსა და სომხეთში. მიცუბიში მოტორსის ცენტრი სთავაზობს მომხმარებელს ცნობილი იაპონური ბრენდის, როგორც უახლესი ავტომობილების სრულ სამოდელო რიგს, ასევე ორიგინალ ავტონაწილებსა და ავტოშეკეთებისა და ტექმომსახურების ცენტრს.

2019 წლის იანვარში შპს “იბერია ავტო ლენდი” და შპს “სენა ავტო” შეერწყა შპს “კავკასუს მოტორსს” და შერწყმული საწარმოს სახელია შპს “კავკასუს მოტორსი”;

კომპანიის ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან 2019 წელს 5,827,674 ლარი ხოლო 2018 წელს 6,353,312 ლარი შეადგინა.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 12 თანამშრომელს, ხოლო 2018 წელს 6 თანამშრომელს.

შპს იბერია ავტო

შპს იბერია ავტო (IA) შვებულებული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IA და არის ევროპული ბრენდის, Volkswagen-ის, ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი. ასევე მის საკუთრებაში არის რუსთავის ავტო ბაზრობის ნაწილი, რომლიც იჯარით აქვს გაცემული შპს კავკასიის ავტო ცენტრზე საავტომობილო გაყიდვები გამყარებულია, გარანტირებული მაღალი ხარისხის მომსახურების ცენტრით. იბერია ავტოს მომხმარებელთა შორის, ძლიერი კონცენტრაცია მოდის, როგორც საცალო სეგმენტის ასევე ქალაქის და სახელმწიფო უწყებებზე. მაგალითად, საქართველოს სასწრაფო დახმარება იყენებს VW მანქანებს. ასეთი სააგენტოების მიერ ტრანსპორტის გამოყენება გამოირჩევა მაღალი ცვეთით, ამიტომ საჭიროებს დიდი რაოდენობით მომსახურებას. ამ მიზეზით, ტექნიკური მომსახურებით მიღებული შემოსავლები,

მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავლებს საცალო კლიენტების მომსახურებიდან. 2019 წლის დასაწყისში აი-ბი-ჯი ჰოლდინგში მიმდინარე რეორგანიზაციის ბოლო ეტაპის ფარგლებში, შპს იბერია ავტო და შპს იბერია ავტოპაუსი ერთმანეთს შეერწყა, შედეგად დარჩა შპს იბერია ავტო.

კომპანიის ამონაგებმა საოპერაციო საქმიანობიდან 2019 წელს 20,645,294 ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს შესაბამისად 6,039,733 ლარი.

სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მიზანია იყოს უწყვეტად განვითარებადი და ეს განვითარება აისახოს კომპანიის მიერ ბაზრისთვის მიწოდებულ პროდუქციისა და სერვისის ხარისხზე, რაც თავისთავად განაპირობებს კომპანიის შემოსავლების ზრდას და პირიქით - კომპანიის შემოსავლების ზრდა იძლევა საშუალებას ბაზარს შევთავაზოთ თანამედროვე და უახლესი ტენდენციებით შექმნილი სავაჭრომოთილო მომსახურება.

„უწყვეტად განვითარების“ კონცეფციის ფარგლებში ჯგუფი მიზნად ისახავს შემოსავლების ყოველწლიურ 10%-იან ზრდას. ჯგუფის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს ყველა რესურსსა და საშუალებას, დასახული მიზნების მისაღწევად. ეს საშუალება იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა) არსებული მიმართულებების განვითარება;

ბ) ახალი მიმართულებების დანერგვა და განვითარება;

მენეჯმენტის მიერ დადგენილი ჯგუფის განვითარების გეგმა ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საკითხს და მათი ერთობლიობა მიმართავს კომპანიას მთავარი მიზნის მისაღწევად:

- ფინანსური რესურსი - კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და დამფუძნებელ პირთა დამოკიდებულება „გაუნაწილებელი მოგების“ განკარგვის კუთხით იძლევა საშუალებას წლიდან წლამდე მოხდეს ზრდა-განვითარებისთვის საჭირო რესურსების გამოყოფა და მიმართვა საჭირო მიმართულებით. ასევე საბანკო სექტორიდან გრძელვადიანი კრედიტის მიღება, რითიც მოხდება ახალი მიმართულებების დაფინანსება.
- კომპანიის მენეჯმენტი და მართვა - კომპანიის მონყობა და მართვის პრინციპი წარმოადგენს კომპანიის განვითარების და წინსვლის წინაპირობას. კომპანიის მონყობის სტრუქტურა და მენეჯმენტი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
- კადრები - კომპანიაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და განვითარების პოტენციალი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან აქტივს რომელიც კომპანიას მზარდი გამოწვევების გამკლავების საშუალებას აძლევს. კომპანიაში დანერგილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დამადასტურებელი ტესტირების სისტემა და ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო სისტემები დისტანციური სწავლების შესაძლებლობით იძლევა საშუალებას გაიმზოდოს კადრების კვალიფიკაცია, მოხდეს შესაბამისი რეაგირება წარმატებულ/ჩამორჩენილ კადრებთან მიმართებაში. აქტიურად მიმდინარეობს კადრების კმაყოფილების კვლევები, შედეგების ანალიზი და აღნიშნულზე დაყრდნობით ახალი განვითარების გეგმების შემუშავება რადგან კომპანიის მენეჯმენტის რწმენით კმაყოფილი და ლოიალური თანამშრომელი პირდაპირ პროპორციულად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე

ჯგუფი საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე სარგებლობს დადებითი რეპუტაციით მომხმარებლების მიმართ, რადგან 20 წელია იგი მოღვაწეობს საავტომობილო ბიზნესში და მომხმარებლების უმრავლესობა ენდობა გამოცდილებასა და საოპერაციო საქმიანობის ხარისხს.

მომხმარებლები

ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც, ფიზიკური პირები და ორგანიზაციები, ასევე სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, ორგანიზაცია მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურების ხარისხი, რათა გამოიწვიოს თითოეული სეგმენტის მომხმარებლის კმაყოფილება და ნდობა.

დასაქმებულები

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი დაკომპლექტებულია, პირველ რიგში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური ტექნიკური პერსონალით, რომლებიც მომხმარებლებს უწევენ მაღალი დონის მომსახურებას, რის შედეგადაც კომპანიას ჰყავს დიდი რაოდენობის ერთგული მომხმარებელი. ასევე, ორგანიზაციას ჰყავს გამოცდილი სათადარიგო ნაწილების დეპარტამენტი, გაყიდვების დეპარტამენტი და ადმინისტრაცია,

რომლებიც ოპერატიულად უნევენ მომსახურეობას მომხმარებლებს. კომპანია იოკოჰამა ჯორჯიაში დასაქმებული არიან პროფესიონალი გაყიდვის სპეციალისტები, რომელიც ასევე კვალიფიკაციური ავტომობილების ტექნიკურ მახასიათებლებში და მომხმარებლებს სთავაზობენ შესაბამის საბურავებს და სათადარიგო ნაწილებს.

ინტელექტუალური კაპიტალი

კომპანიის მენეჯმენტი დაკომპლექტებულია მაღალი დონის პროფესიონალებით, რომელთაც გააჩნიათ კერძო ბიზნესში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათი პროფესიონალურ ზრდას ასევე უზრუნველყოფს კომპანიის პოლიტიკა თანამშრომლების მუდმივი მომზადების, გადამზადებისა და სერტიფიცირების კუთხით მათი პროფესიონალიზმის ზრდის ხელშესაწყობად.

ძირითადი რისკები

რისკად შეიძლება ჩაითვალოს ბრენდის ლიცენზიის დაკარგვა, რაც განპირობებულია ზედამხედველი კომპანიის სტანდარტების მოთხოვნასა და „აი-ბი-ჯი ჰოლდინგი“-ს მიერ შესრულებული რეფორმების ხარისხზე.

ქართული ლარის არა მყარი ღირებულება, რომელიც ხელს უშლის რეალიზაციის მარჟის სტაბილურობას, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიის მომგებიანობას. ასევე ვალუტის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საკრედიტო კუთხით ზარალი, რადგან საზღვრებს მიღმა ოპერაციები ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, რაც პროვოცირებას უწევს კურსთა შორის სხვაობიდან მიღებულ ზარალს.

ამასთანავე რისკად შეიძლება ჩაითვალოს საბანკო სექტორიდან მიღებული კრედიტი, რომელიც დიდ წილს იკავებს კომპანიის კაპიტალში, რომლის გადაუხდელობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ კრახს.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის გართულებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა შეიძლება წარმოშვას პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ასევე არის საშიშროება შიდა არეულობის და ეკონომიკური კრიზისის.

ყველა ამ ფაქტორმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გაყიდვების მოცულობის შემცირებაზე და გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის სერიოზული ჩაფარდნა. მსგავსი რისკები არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არსებობს მსგავსი რისკების წარმოშობის სერიოზული საფუძვლები.

გარემოს დაცვა

ორგანიზაციას, აქვს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება გარემოსდაცვითი რეგულაციებს. კომპანია უზრუნველყოფს ავტომობილების შეკეთების მომსახურებას, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ მოთხოვნას გამოყენებული ნაწილებისა და საპოხი მასალების გამო. ასევე, კომპანია აქტიურადაა ჩართული ნარჩენების დახარისხებისა და გადამუშავების პროექტში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამჟამად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დაწესებული გარემოსდაცვითი რეგულაციებს და არ გააჩნია რაიმე ვალდებულება.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის ბალანსის შემდგომ პერიოდში განხორციელებულ ოპერაციებზე;

COVID-19-ის ვირუსის გავრცელებამ სერიოზული გამოწვევები შეუქმნა ეკონომიკას და ბიზნესს მსოფლიოს მასშტაბით და არც საქართველოა გამონაკლისი. თუმცა, ამ დრომდე ჩვენმა ქვეყანამ, მთავრობის მიერ დროულად განხორციელებული მკაცრი ზომების წყალობით, სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ეფექტურად მოახერხა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას კი შედეგად მოჰყვა შედარებით ნაკლები დაინფიცირების შემთხვევები. ეკონომიკური თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიამ საქართველოში გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, უმუშევრობის ზრდა, ლარის გაუფასურება და კერძო სექტორის გადახდისუნარიანობის შესუსტება. იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვანია ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკაში, გავლენაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 14 აპრილის პროგნოზით, 2020 წელს მოსალოდნელია საქართველოს ეკონომიკის 4.0%-ით შემცირება, ხოლო 2021 წლისთვის მოსალოდნელია ზრდის მაჩვენებლის დაბრუნება 3.0%-ზე. რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება კომპანიის საქმიანობასა და შემოსავლებზე.

ჩვენ განვახორციელეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქმედებებისა, რათა დავიცვათ ჩვენი მომხმარებელი და თანამშრომლები და თავი ავარიდოთ ჯგუფის ოპერაციების შეფერხებას COVID-19-ის დროს. COVID-19-ზე საპასუხო ქმედებების შემუშავებისას გავითვალისწინეთ საუკეთესო გლობალური კომპანიების მეთოდები, ასევე გადავხედეთ ისეთი ორგანიზაციების პრაქტიკას, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან. ჩვენი პრიორიტეტია თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. სერვის ცენტრებში წარმოვადგინეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ღონისძიებები. ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შემცირებული გაყიდვების ფონზე ვმუშაობთ ხარჯების ოპტიმიზაციაზე, პროცესების გადანაცვას და ხარჯების პრიორიტეტების განსაზღვრაზე. ჩვენი მიზანია, რომ შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი-ს ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიახლოებული იყოს 2019 წლის მაჩვენებელთან. კომპანიის კომპეტენტური, პროფესიონალური გუნდის წყალობის შესაძლებელი გახდა COVID-19-ით გამოწვეულ ამჟამინდელ ვითარებასთან სწრაფად ადაპტირება და საქმიანობის გაგრძელება მინიმალური შეფერხებით.

ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თვალსაზრისით, მივიღეთ მთელი რიგი ზომები, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციამ ადაპტირება მოახდინა ყოველდღიური ოპერაციების კუთხით, რათა ადაპტირდეს მიმდინარე, უპრეცედენტო საოპერაციო გარემოსთან, ამასთანავე შეინარჩუნოს თანამშრომლებისა და მომხმარებლის ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა, როგორც ნომერ პირველი პრიორიტეტი: ჩვენს ფილიალებში შემოვიტანეთ უსაფრთხოებისა და ინფექციის პრევენციის დამატებითი ზომები, მათ შორის შუშის ბარიერები და ანთისეპტიკური საშუალებები ჩვენი თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ტოპ მენეჯმენტმა გადანაცვლა უარი ეთქვა ბონუსებზე; 2020 წელს ჩვენი პრიორიტეტები იქნება ეფექტური რისკების მართვის სისტემით პრაქტიკულად მართვა პარალელურად, ჩვენ ვფოკუსირდებით ხარჯების ოპტიმიზაციაზე, რათა შევინარჩუნოთ 2020 წლის ხარჯის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი

2019 წლის დონეზე, შემოსავლებზე ზეწოლისა და ვალუტის გაუფასურების მიუხედავად. ამავდროულად, კრიზისმა ჩვენი სტრატეგია კიდევ უფრო გაამტკიცა და გამოავლინა უამრავი შესაძლებლობა, რომლებსაც გამოვიყენებთ ოპერაციული მოდელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი
დირექტორი



24 აპრილი, 2021